

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

გ მ ა მ გ ე

ტომი IV № 9

СООБЩЕНИЯ

АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ТОМ IV № 9

BULLETIN

OF THE ACADEMY OF SCIENCES OF THE GEORGIAN SSR

Vol. IV № 9

თბილისი 1943 ტბილისი  
T B I L I S S I

ილ. აბულაძე

ორი გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობისათვის

(„ლადონი“ და „პარეზნი“) (1)

ერთი წყება გეოგრაფიული სახელებისა ნაწარმოები ჩანს ამა თუ იმ საგნის სახელისაგან, რომლებიც „ხშირად მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი: რკონი (კრკონ-ისაგან), მსხლ-ებ-ი, ქე-ებ-ი, კოშკ-ებ-ი, ხიზნ-ებ-ი, ბაგ-ბი და სხ...“-ო [1]. აქ ეს სახელები სახელობითი ბრუნვის ფორმითაა მოცემული, მაგრამ შეიძლება გენიტივის ფორმითაც იყვნენ წარმოდგენილი: „ამცარი წარმოშობის სახელები (საუბარია სოფლის სახელებზე, რომლებიც გვაჩისაგან არის ნაწარმოები) გენიტივის ფორმითაც ირის დადასტურებული ფშავსა და ხევსურეთში): ცაბაურ-თა, გოგოლაურ-თა, ბულალაურ-თა, მიგჩაულ-თა და სხ...“ [1, გვ. 134]. ერთი იმ სახელთაგანი, რომელზედაც ქვემოთ ჩაგანგებოდ გვაქვს გულისყური მიპყრობილი, დასახლებული ადგილის სახელწოდება არაა, არც საგნის სახელიდან ან გვარიდან ირის წარმომდგარო, არაფერ, როგორც ვნახავთ, საგნის ნიშნის სახელისაგან მომდინარეობს, ხოლო მეოჩე საზოგადო სახელისაგან წარმოქმნილ საკუთარ სახელს წარმოადგენს. პირველია შთის სახელი, რომელიც ძველს წერილობითს წყაროებში უფრო შეტად აღდონი“ ან „ლადოთა“ ფორმით გვხვდება, მეორე კი ადგილის სახელია, რომელიც „პარეზნი-პარეზთა“-ს სახით არის დადასტურებული.

„ლადონი“, „ლადოთა“, ზოგჯერ „ლადო“-ც, სხვადასხვა ძველს ლიტერატურულ ძეგლში მოიპოვება, როგორც წმინდა საისტორიოში, ისე აგიოგრაფიულშიც. საისტორიო ნაწარმოებთაგან უწინარეს ყოვლისა ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებები უნდა მოვიხსენიოთ. ლეონტის იქ, სადაც ქართლოსის სამფლობელოზე აქვს საუბარი, ამ სამფლობელოს ჩრდილოეთის სხლერის აღწერისას, აღნიშნული აქვს, რომ თარგამოსმა ქართლოსს

„უჩინა... ჩრდილოეთ საზღვარი ღიდო, მთა მცირე, რომელი გამოვლის შტოდ კავკასიისგან და მოპკიდევს წუერი დასასრულსა ღადოსი, რომელსა ჰრქვან ღიხი“ [2].

„ლადოს“ იხსენიებს ლეონტი ალექსანდრე მაკედონელის ამბების თბრობის დროსაც:

(1 წაკითხულია სტალინის სახელ. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის ქართული გნოგოფერის სბდომაზე 1943. VII. 6.

„პოვნა [ალექსანდრე] ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა ქართლ(ს): წჳნ და, ხერთვისი მტკურისა, ოძრე, მოკიდებული კლდესა ლადოს(ს)ა... [2, გვ. 12].

„მოკიდებულად მთასა ლადოს(ს)ა“ ამავე ისტორიკოსს მოხსენებულ აქვს სამცხის ერთ-ერთი ციხე, დემოთი-ც (var. დომთა) [2, გვ. 29].

ლეონტი მროველის აღნიშნული ცნობების შესახებ უნდა ითქვას, რომ როცა მასთან ქართლოსის ხედრის ჩრდილოეთის საზღვარზეა საუბარი, იქ მის მთლიანი სამფლობელო კი არ იგულისხმება, არამედ, როგორც ეს უკვე შენიშნულია აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს, მხოლოდ ერთი ნაწილი და ისიც შესხეთის მხრით [3]. ასე ესმის მითითებული ადგილი „ქართლის ცხოვრების“ სიმე მთარგმნელსაც, რომელსაც ეს ძეგლი XII ს-ის მეორე ნახევარში უთარგმნი გამოკრებით სომხურად [4]: *ხა ქ ბამაკაქან კილახ თი ქილამე ლიქკასილ, — ლიქარლიქ ხ შაკოქ მჩხუხ ვლქასი* [5]. „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანთან დაკავშირებით ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ მითითებული სხვა ადგილებიდან მხოლოდ ერთს ვხვდებით კიდევ მასში თარგმნილად. ის ალექსანდრე მაკედონელის ქართლში შემოსვლას ეხება. სომეხ მთარგმნელს ეს ადგილი „ოძრე მოკიდებული მთასა ლადოს(ს)ა“, ნათარგმნი აქვს *-მანძრქსტკაილიცხაქ რნე ღარქს ლაჟა[ლ]სიქ* (წიკ.: *ლაჟაიქ*). ეტყობა, სომხურს ხელნაწერ ნუსხებში *ღ* (*ლაჟაღა*) გრაფიკულ ნიადაგზე *ღ*-დ ქცეულა, ანდა თვით მთარგმნელ ჰქონია ხელთ ისეთი ნუსხა, რომელიც მხედრულად ყოფილა ნაწერი, და ამ ხელის „ღ“-სა და „ლ“-ს მსგავსების გამო მოსვლია შეცდომა. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ აქაც, ისე როგორც ზემოთაც, ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის გადაღების დროს ბრუნვის ნიშანი „ს“ ფუძისეულად მიუჩნევია: *ლქა-ლაჟაღა-ღ* (თუმცა, თუ მის ნუსხასაც „ლადოსა“ ექნებოდა, მას შეეძლო ფუძედ ლადოს მიერჩნია).

ჯუანშერი „ლადოთა“ ფორმას ხმარობს და მასაც მხოლოდ ერთგან:

„უკუმოსცა კეისარმან [ვახტანგ გურგასაღსო, გვიამბობს იგი] საზღვარი ქართლისა — ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღვთავ ვიდრე არსიანთამდე, და კეენი, რომელნი მოსდგმანან (var. M მოსდგმენ, B მოსდგანან) ლადოთა“-ო [2, გვ. 119].

ლეონტისა და ჯუანშერის აღნიშნული ცნობების მიხედვით აკად. ივ. ჯავახიშვილს შემდეგი დასკვნა აქვს გაკეთებული: „ლიხის მთების... გაგრძელება „ლადო“ ერქვა... რომ ლიხის მთა და ლადო ერთმანეთის პირდაპირს გაგრძელებას შეადგენენ, ერთი უღელტეხილის ნაწილები არიან... რომ ლადოს პოსამცხეში იყო, ოძრეს ქვეყანაში“ [3, გვ. 267—8]. აქვე, ჩვეულებრივი სიფრთხილით, განსვენებული მკვლევარი დასძენს, რომ „წინაღ-კი, როგორც ჩანს, ლადო იწოდება მთა ლიხითგან მოყოლებული ვგონებ არსიანთამდის“-ო.

აკად. ივ. ჯავახიშვილსვე აქვს შენიშნული სუმბატის ნატრანისა და გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ცნობებზე დაყრდნობით, რომ „ლადონი“ სამცხე გარდა შავშეთსა და კლარჯეთშიაც ჰრქმევიან მთებს. ბაგრატიუნიანთა ისტორიკოსი ამბობს:

„ყრუმან ბაღდადეღმან შემუსრნა ციხენი ყოველნი მოვლო შავშეთიცა და ლადონი“-ო [6].

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში კი კლარჯეთის სავანეების ადგილ-სამფლოს შესახებ ვკითხულობთ:

„არს იგი [ე. ი. ქუეყანაჲ უდაბნოთაჲ მათ] უგზო და მიუვალ რადთურთით სოფლისა წესითა მცხოვრებელთაგან, რამეთუ ლადოთა მათა შინა მალალთა არს მკვდრობაჲ მათი“ [7].

ანდა ხანძთის ბუნების აღწერისას ნათქვამია:

„ხოლო სათესავი ყანაჲ და სათიბელი ქუეყანაჲ რადთურთით არა არს, არცა იქმნების ღირლოლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ლადოთაჲსა“ [7, ია 50—51].

როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, „ლადონი-ლადოთა“ მთების აღმნიშვნელი ძეგლწოდებაა, რომელსაც სამხრეთ საქართველოს არა მარტო სხვადასხვა კუთვშე ეხედებით, არამედ ერთ-ერთშიაც კი, მის სხვადასხვა ადგილში (შდრ. ზომანეთს კლარჯეთის შესახებ თქმული ხანძთელის ცხოვრებიდან).

„ლადონი“—„ლადოთა“, მთის თუ მთების სახელი, საზოგადო სახელისაგან სრმოქმნილი ჩანს. ეს ირკვევა ერთი ძველი ქართული ძეგლიდან, რომელსაც „მამათა ცხოვრება“ ეწოდება, სახელდობრ ამ ნაწარმოების იმ რედაქციიდან, რომელიც ბერძნულიდან არის ნათარგმნი გიორგი მთაწმიდელის მოწაფის თეოქლეს მიერ [8]. აქ ერთგან ვკითხულობთ:

„და ვალნ იგი უვალთა ადგილთა და უკაცურთა და ძნელთა ლადოთა და კაპან-კაპანთა“-ო (175 v., b.).

ამ ადგილის შესატყვისი რედაქციულად შემხვედრ ამ ძეგლის სომხურ თარგმანში, რომელიც აგრეთვე ბერძნულიდან არის თარგმნილი<sup>(1)</sup> შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

*«ნრქერ ზა კანსიქს ს კანმაროყარნასკ ახიქს, ქ ოძილარქს  
ქააყარა ' ქ აყარხქა ს ქ კააყარა»* [9].

მოყვანილი ადგილები თითქმის სრულიად ხვდებიან ერთმანეთს. ქართულის „ვალნ... ძნელთა ლადოთა“-ს აქ უდრის *ნრქერ... ქ ოძილარქს ქააყარა' ქ აყარხქა; ქ აყარხქა* გლოსა ჩანს *ქააყარა*-ისა. რაღაა *ქააყარა*? პროფ. ზ. აპარიანის ეტიმოლოგიური ლექსიკონით *ქააყარ* სიტყვა, რომლის ეტიმოლოგია უცნობი ყოფილა, *ქააყა*-იდან წარმოქმნილად მიიჩნევა. *ქააყ* ძველად ახერგოს, ღრუს, ფოსოს, გამოქვაბულს“ ნიშნავდა, ხოლო *-არ* ნაწილაკის დარ-

(<sup>1</sup> ბერძნული ტექსტები „მამათა ცხოვრებისა“ *Apophthegmata Patrum...*—, რომელიც *Magne*-ის გამოცემაში *Patr. gr.*-ს 65-ე ტომში ყოფილა მოთავსებული (K. Krumbacher *Geschichte der byzant. Literatur*, II გამ., München 1897, გვ. 188), ვერ შეგებოწმეთ, რადგან ეს ტომი თბილისში ვერ ვიშოვეთ.

თვით, ე. ი. *ქააყაყ* ფორმით, — „ხვრელს, ნაპრაღს, გამოქვაბულს“ — ი [10] დაახლოებით ასეთივე შინაარსისაა *ყაყახს* — იც, რომლის ეტიმოლოგია აგრეთვე მიუკვლეველი ჩანს: „კლდე, ქვიანი ადგილები, მთის გამოშვერილი ნაწილები“ [10, ტ. V]. ამის გამო, მგონია, რომ ზემოთ მოყვანილ ტექსტში *ქააყაყ*-ის გვერდით ნახშიარი *ყაყახს* უნდა იყოს პირველის (ე. ი. *ქააყაყ*-ის ამხსნელი სიტყვა, რომელსაც შესატყვისი ქართულ ტექსტში არც მოვაპოვებ ამგვარად, „ღადო“ აღნიშნავს მთიან ადგილს, ქვიანს, ნაპრაღებიანსა და ღრეებიანს. უდაო ხდება ამასთან ისიც, რომ „ღადონი — ღადოთა“, ჯერ მთის გარკვეული ტიპის აღმნიშვნელი და მერმე სხვა ქართულის გარკვეული მთის სახელი, წარმოქმნილია „ღადო“ სიტყვისაგან.

ღადოსთან ფონეტიკურად და სემანტიკურად ახლო დგას ზემოთხსენებული ღრატო ან ღრადო [11] და ლეჩხუმური ღრანტო [12]. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონმა არც ღადო და არც ღრატო თუ ღრადო არ იცის. დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში შესული ღრანტე ღრანტალი კი [13], რომლებიც იმერულ ღრატოს ეხმაურება, ცხადია ღადოსთან ახლო მდგომია.

სხვათა შორის, ღადო-საგან წარმოებული „ღადონ-ღადოთა“-ს მსგავსად ძველ ქართულში გვაქვს ზემოთ *ქააყაყ*-ის, ე. ი. ღადოს გლოსად ნახშიარი *ყაყახს* — პარეხთისაგან წარმოქმნილი — „პარეხნი-პარეხთა“-ც.

„პარეხნი-პარეხთა“ ფორმა იხმარება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში აქ ვკითხულობთ:

„რაგამს ხანძთად იქმნა სახელოვან მადლითა... მას ეამსა მიძნაბროდთ ხანძთად მოვიდა დიდი მეუღაბნოს მიქელ მამაჲ, რომელი დემკვდრა პარეხთა... და პოვა თავისა თვისისა სამკვდრებელი ბეთისა პარეხთა...“ [7, ლა 1—5].

ეს სიტყვა იხმარება სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაშიც:

„მოვიდა მუნით [ოპიზადთ] მიქელ და ილაშენა უწყებითა საღმრთოთა თა მცირე ეგუტერი და შესაჯრებელი მცირეთა ძმათად ადგილსა კლდოვანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარეხ უწოდიან“ [14].

ამ ადგილის აზრი სულ ნათელი არაა; არ ჩანს, სად მოვიდა მიქელ ფიქრობენ [14, გვ. 114—116], რომ ეს მიქელი იგივეა, რაც ხანძთელის ცხოვრებაში მოხსენებული მიქელი, რომელიც ხანძთის მახლობლად მდებარე ბერთის პარეხთას მკვიდრობდაო. ვინაიდან „პარეხთა“ ზარზმელის ცხოვრებაში იხსენიება, ამიტომ ვარაუდობენ, რომ აქ ბერთის პარეხთაზეა საუბარი. თუ რომ დავანებოთ იმის ძიებას, მართლა ერთი და იგივე პიროვნებაა თუ არა ამ ორი ძეგლის მიქელ პარეხელი, რასაც თვით ძეგლების მოწმობანი არ უნდა ადასტურებდნენ, ერთი ნათელია: ხანძთელის ცხოვრების „პარეხთა“ გეოგრაფიული სახელია, ხოლო სერაპიონის ცხოვრებისა კი საზოგადო უნდა იყოს რადგან აქ იგი, ან მისი ფუძე, იხმარება არა მრავლობითი რიცხვის ფორმით.

რაც, როგორც ვნახეთ, საგნის სახელთაგან წირმოქმნილ გეოგრაფიულ სახელთათვის დამახასიათებელია, არამედ მხოლოდითი („პარეხ უწოდებენ“). ამასთანავე ზარზმელის ცხოვრების „პარეხის“ შემცველი ადგილი, დამოუკიდებლად იმისა, იქნება ის საკუთარი თუ საზოგადო სახელი, საგულისხმოა იმითაც, რომ იქ მოცემულია ამ სახელის მნიშვნელობა: „ადგილი კლდოანი და უვალი კაცთაგან“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
პედ. ნ. შარის სახელობის ენის ინსტიტუტი

(შემოვიდა რედაქციაში 14.9.1943)

## ФИЛОЛОГИЯ

И. В. АБУЛАДЗЕ

### К ЗНАЧЕНИЮ ДВУХ ГЕОГРАФИЧЕСКИХ ИМЕН «ГАДОНИ» И «П.АРЕХНИ»

Наименование гор «Гадони» (род. п. «Гадота»), распространенное, главным образом, в юго-западной Грузии (в Самцхе, Кларджетия, Шавшети) произведено от *gado* (ლადო), которое означает «скалистое, каменистое место с ущельями и пещерами» (= арм. *փայտար*).

Таково же значение и названия «Парехни» (род. п. «Парехта»), встречаемого в тех же местах и имеющего аналогичное образование.

Академия Наук Грузинской ССР  
Институт языка имени акад. Н. Я. Марра  
Тбилиси

### დავოწმებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვ. I, თბ. 1943 წ., გვ. 133, § 171
2. „ანასთელი ქართლის ცხოვრება“ თბ. 1942 წ., გვ. 2.
3. ივ. ჯავახიშვილი. ქართველ ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 267.
4. *P. Արուստի. Բարձրի միոլիթայի կամ վրաց Գամուժյան (ն. Նայեքն Բուրժուժյուր: «Մատենագրասն... Գիտական նյութերի ժողովածու») № 1, Երևան 1917 წ. 33—40.*
5. *Համուռոտ Գատուժիւն վրաց, ընծայեալ Գուսնէրի պատմէի վեհտիկ, 1884 թ., 89.*
6. „სამი ისტორიული ქრონიკა...“ გამოც. ეჭვთ. თაყაიშვილის მიერ, თბ. 1890, გვ. 52.
7. Георгий Меркули. Житие св. Григория Хандатинского... изд. Н. Марра, СПб., 1917, 17—21.
8. საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდი, № 1105. კ. ქეცელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. I, მეორე გამოც., თბ. 1941, გვ. 223.

9. «*სარგ ჰარასუგა* 1643 წ. გამოც. ძ'ქ'ა. შდრ. ვენეციის 1855 წ. გამოცემა, II ტ. გვ. 28—29.
10. ჯ. შ ა ა რ ა ნ . ჯ ა ხ რ ე ს ა რ მ ა თ ა ს კ ა ს — რ ა თ ი ა რ ა ნ . ტ. VI.
11. ბ. წერეთელი, ზემო-იმერული ლექსიკონი. „ქართვ. ენათა ლექსიკა“. 1938, გვ. 126.
12. მ. ჩიქოვანი, ლექსუმური ლექსიკონი. ქუშკინის სახ. თბილისის სამასწავლებლ ინსტიტუტის შრომები, I, გვ. 231—259.
13. ქართულ-რუსული ლექსიკონი, ხელახლად შემუშავებული დავით ჩუბინოვიჩის გან, საბ., 1887 წ., გვ. 1366.
14. ბასილი ხარზმელი—ცხოვრება სერაპიონ ხარზმელისა. „ადრინდელი თეოდორტ ქართული ლიტერატურა“, ნაკვ. I... კ. კეძელიძის რედაქციით, თბ. 1935, გვ. 150.

Ответственный редактор акад. Н. И. Мусхелишвили

Подписано к печати 15.1.44. Печатных форм 6. Авторских форм 8.  
Колыч. тираж. в 1 печ. листе 52.000. УЭ 00415. Заказ № 870. Тираж 600 экз

Типография Академии Наук Грузинской ССР. Тбилиси, ул. А. Церетели, 7